ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №99

26 ივლისი 2016 წელი ქ.ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ერთის მხრივ ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება" წარმოდგენილი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ს/ნ 412675396 ტელ: 25-37-00) (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ი/მ ნიკოლოზ სვანიძე ს/ნ 60002018194 მისამართი: ქ.ქუთაისი ასათიანის #96
ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ბალანსზე რიცხული ავტომობილისათვის (opel astra IBG778)წინა და უკანა სამუხრუჭე ხუნდების შეძენა.

წინა სამუხრუჭე ხუნდები 65 ლარი
უკანა სამუხრუჭე ხუნდები 55 ლარი
ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 120(ას ოცი) ლარი. CPV 34322400

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს მომსახურების/საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
2.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს ელექტროტექნიკის მიწოდება.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების“ შესყიდვების კოორდინატორი გიორგი ჭუმბურიძე.

4. გარანტია

4.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ განახორციელებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საქონლის მიწოდებას.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება–ჩაბარების აქტში დაფიქსირებული თანხა წარმოადგენს ხელშეკრულების საერთო ღირებულებას.
5.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო.
5.3 ანგარიშსწორების ვადაა: ფაქტობრივად განხორციელებული სამუშაოს შესრულებიდან (მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 10 დღის ვადაში.
5.4 ანგარისწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 14 ივნისის №336 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1 „მიმწოდებელი“ საქონლის მიწოდებას განახორციელებს „შემსყიდველიდან“ მიღებული შეკვეთის საფუძველზე, შეკვეთის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია მასზე ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 15 სექტემბრამდე..

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

განხორციელებული მიწოდების დამტკიცებას ახორციელებს ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების“ დირექტორი ნანა ლორთქიფანიძე.

8. ფასები

8.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

8.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

8.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

9.1..1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

9.3 იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის «ფორს-მაჟორი» ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან

სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 შემსყიდველი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების, გადასახდელების გადახდაზე.

ნანა ლორთქიფანიძე	ი/მ ნიკოლოზ სვანიძე
ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი	ს/კ 60002018194
ს/ნ 412675396	„ბანკი ქართუ“
ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3;	ა/ა GE82CR005008703843602
(შემსყიდველი)	(მიმწოდებელი)

მიღება-ჩაბარებისაქტი

ქ.ქუთაისი 27 ივლისი 2016წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი ერთის მხრივ იმ ნიკოლოზ სვანიძე ს/ნ 60002018194 მისამართი: ქ.ქუთაისი ასათიანის #96 (შემდგომში „მიმწოდებელი“)და

მეორეს მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებია”, წარმოდგენილი დირექტორი ნანა ლორთქიფანიძე(ს/ნ 412675396)მის: ქ.ქუთაისი რუსთაველის №3)

ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა 2016 წლის 26 ივლისის №99-ე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, ააიპ “ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის“ განახორციელა სამუხრუჭე ხუნდების შეძენა.

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 120(ასოცი)ლარს.

აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ჩავაბარე: მივიღე:

ნიკოლოზ სვანიძე ნანა ლორთქიფანიძე

ნ.სვანიძე